



Federal Republic of Germany  
Foreign Office



## განაცხადების მიღება სათემო ვორკშოპში მონაწილეობის მსურველებისთვის

# მდგრადი მშენებლობა და ხის დამუშავება

23-26 ნოემბერი, 2023. გრემი, ყვარლის მუნიციპალიტეტი

გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია [“Corridors – Dialogue through Cooperation”](#) აწყობს ოთხდღიან ვორკშოპს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში, რომლის მიზანია დააკავშიროს და გააძლიეროს ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სემინარი აერთიანებს თეორიულ ინფორმაციას მშვიდობის მშენებლობისა, მდგრადობისა და მდგრადი მშენებლობის შესახებ, ხის დამუშავების პრაქტიკულ სესიებთან. ხის დამუშავების საშუალებით მონაწილეები წვლილს შეიტანენ PeaceCamp-ში, რომელიც იქმნება სოფელ გრემში. PeaceCamp იქნება მდგრადი სემინარების და ღონისძიების სამშვიდობო საზოგადოებრივი ცენტრი, ადგილი მნიშვნელოვანი შეხვედრების და მშვიდობასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისთვის. ვორკშოპის მსვლელობისას ასევე იქნება დრო და სივრცე სპორტის, თამაშების, მუსიკისა და სხვა აქტივობებისთვის.. ვორკშოპი ჩატარდება ქართულ ენაზე.

**მონაწილეები:** ვიწვევთ 18-30 წლის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მდგრადობის, მშვიდობისა და ხის დამუშავების თემებით და ღია არიან სხვა ახალგაზრდებთან შეხვედრისა.

**ტრანსპორტი:** Corridors ხელს შეუწყობს მონაწილეთა ტრანსპორტის ორგანიზებას;; ტრანსპორტირების ხარჯებს სრულად დაფარავს პროექტი.

**ადგილი და განთავსება:** სემინარი ძირითადად ჩატარდება [Temi Community](#)-ში, სადაც სხვადასხვა წარმომავლობისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ ერთად. სოფელ გრემის სასტუმროში განთავსება მოხდება ორადგილიან ან სამადგილიან ნომრებში. ოთახებს აქვთ საკუთარი სველი წერტილები; უზრუნველყოფილი იქნება თეთრეული და პირსახოცები.

**კვება:** ორგანიზატორები უზრუნველყოფენ საუზმეს, სადილსა და ვახშამს.

თუ გაქვს კიდევ რაიმე შეკითხვა ან გჭირდება დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ, ნუ დააყოვნებთ და დაუკავშირდით [kellersmann@opencorridors.de](mailto:kellersmann@opencorridors.de) დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა **20 ნოემბრამდე:** <https://forms.gle/Tym5DkzwP3R9chdw6>

### წინასწარი განრიგი

	დღე 1 23 ნოემბერს	დღე 2 24 ნოემბერს	დღე 3 25 ნოემბერს	დღე 4 26 ნოემბერს
8:30-9:30	ჩამოსვლა	საუზმე	საუზმე	საუზმე
09:30-11:00		მდგრადი, ეკოლოგიური მშენებლობა	ჯგუფური მუშაობა	უკუკავშირი და დახურვა
11:00-11:30		შესვენება	შესვენება	გამგზავრება
11:30-13:00		პრაქტიკული სესია - ხის დამუშავება	პრაქტიკული სესია - ხის დამუშავება	
13:00-15:00		სადილი	სადილი	სადილი
15:00-16:30	ერთმანეთის გაცნობა	პრაქტიკული სესია - ხის დამუშავება	პრაქტიკული სესია - ხის დამუშავება	
16:30-17:00	ჩაის და ყავის შესვენება	ჩაის და ყავის შესვენება	ჩაის და ყავის შესვენება	
17:00-18:30	შესავალი მშვიდობის მშენებლობაში	კრეატიული ხის დამუშავება	სპორტი/ ექსკურსია	
19:00 - 20:00	ვახშამი	ვახშამი	სუფრა	
20:00	თავისუფალი დრო (ფილმი, სამაგიდო თამაშები ა.შ.)	თავისუფალი დრო (ფილმი, სამაგიდო თამაშები ა.შ.)		

